კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში (2024)

აბსტრაქტი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი დაწესებულებების/ დამსაქმებლების კვლევის ანგარიშს.

გამოკითხვა ჩატარდა 2024 წელს.

სარჩევი

შესავალი 3
კვლევის მიზანი 3
კვლევის ამოცანები 3
კვლევის მეთოდოლოგია 4
სამიზნე ჯგუფი 4
ვალიდობა და სანდოობა 4
ეთიკური მოსაზრებები 4
კვლევის შედეგები - მონაცემთა ანალიზი 5
ძირითადი მიგნებები 11
რეკომენდაციები 11

შესავალი

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების, სტაჟირების და პროგრამების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად არსებითად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა. შესაბამისად, ყოველწლიურად ხორციელდება დამსაქმებელთა გამოკითხვა პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და საჭიროებისამებრ, ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესამუშავებლად.

კვლევის მიზანი

დამსაქმებელთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, პარტნიორი ორაგიზაციების დამოკიდებულების შესწავლა, არამხოლოდ კონკრეტულად კოლეჯ ბარაკონთან მიმართებით, არამედ ზოგადად პროფესიული განათლების მიმართაც.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა ზოგადი დამოკიდებულების შესწავლა;
- პროფესიული სტუდენტების ან/და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის შეფასება და მათი დასაქმების მიმართ დამოკიდებულების შესწავლა;
- დამსაქმებლების მიერ პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება;
- დამსაქმებლების მიერ კოლეჯის შეფასება სხვადასხვა ასპექტით;
- ეფექტური თანამშრომლობისთვის პერსპექტიული გეგმების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. სტრუქტურირებული კითხვარი მოიცავდა, როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და თემატურად დაჯგუფდა კვლევის ამოცანების შეესაბამისად. გამოკითხვა ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებში და განხორციელდა ელექტრონულად - Google Forms-ის მეშვეობით. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპონდენტებისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოში იყო შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას აძლევდა.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პარტნიორი დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენენ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებს. რესპონდენტთა შერჩევისას გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევა, რომლის ფარგლებშიც შეირჩა პარტნიორი ორგანიზაციები ხელმისაწვდომობის (კონკრეტულ მომენტში ხელმისაწვდომია მკვლევარისთვის) და მიზნობრიობის (ვარჩევთ, მათთვის დამახასიათებელი, კონკრეტული გამოცდილების და ცოდნის მიხედვით) გათვალისწინებით.

ვალიდობა და სანდოობა

მნიშვნელოვანია, კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდი ყოფილიყო მდგრადი და სტაბილური. ამისათვის, შეიქმნა ინსტრუმენტი, რომელმაც უზრუნველყო რეპრეზენტაციული მონაცემების მიღება. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით, არ იქნება გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები.

ეთიკური მოსაზრებები

კვლევის ჩატარებისას გათალისწინებულ იქნა ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- მონაცემთა შეგროვების პროცესში, რესპონდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი, თუმცა მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და განზოგადოებულია კვლევის შედეგების ანალიზში.

კვლევის შედეგები – მონაცემთა ანალიზი

კვლევის მიზნებისთვის დამსაქმებელთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგან რესპოდენტთა აზრი მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 9 პარტნიორი ორგანიზაციის 16-მა წარმომადგენელმა. მათ შორის, 3 რესპონდენტი წარმოადგენდა ფარმაციის (სააფთიქაო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებს, ხოლო დანარჩენი რესპოდენტი - საექთნო საქმის პროფესიული პროგრამის პარტნიორ დაწესებულებებს.

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ რესპონდენტებს თავიანთ ორგანიზაციაში დაკავებული აქვთ სხვადასხვა პოზიციები, ასევე განხვავებულია მათი სამუშაო გამოცდილება კონკრეტულ დაწესებულებაში.

მიღებული მონაცემებით იკვეთება, რომ გამოკითხულთა 75% პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისაგან იღებს.

გრაფიკი #1 - რომელი წყაროებით იღებთ ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ?



ყველა გამოკითხულ რესპოდენტს (100%) ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკაზე ჰყოლია კოლეჯის პროფესიული სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნახევრის (50%) შეფასებით, საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები არიან ძალიან მოტივირებულები, ხოლო რესპოდენტთა მეორე ნახევრის შეფასებით (50%) საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები საშუალოდ მოტივირებულები არიან. მოცემული პროცენტული მონაცემები, 2023 წლის მონაცემთან შედარებით, დაახლოებით იგივეა.

გრაფიკი #2 - არიან თუ არა მოტივირებულნი საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები?



კვლევის ფარგლებში დამსაქმებელთა წარმომადგენლებს უნდა შეეფასებინათ პროფესიულ სტუდენტთა ცოდნა და უნარები. რესპონდენტთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ კარგად და ძალიან კარგად შეაფასა პროფესიულ სტუდენტთა კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, სამსახურისთვის შესაბამისი ტანსაცმლის შერჩევის უნარი, პროფესიული ეთიკა, გუნდური მუშაობის უნარი და პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნა. რესპონდენტთა მცირე ნაწილმა პროფესიულ სტუდენტთა მიერ შრომის უსაფრთხოების წესის ცოდნა, პროფესიის შესაბამისი პრაქტიკული უნარები, უცხო ენის ცოდნა და დროის მენეჯმენტი შეაფასა დებულებით - ცუდად.

გრაფიკი #3 - როგორ შეაფასებდით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნასა და უნარებს?



კოლეჯის ინსტიტუციური განვითარებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია სხვა დაინტერესებული მხარის მიერ, სხვადასხვა ასპექტით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება. კვლევის ფარგლებში, რესპონდენტთა მიერ კოლეჯი შეფასდა რამდენიმე მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ არც ერთ რესპონდენტს, არც ერთი ასპექტი არ შეუფასებია უარყოფითად, ხოლო ყველაზე დადებითად შეფასდა კოლეჯის ადმინისტრაციის მოქნილობა თანამშრომლობის პროცესში.

გრაფიკი #4 - როგორ შეაფასებდით კოლეჯს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით? (შეაფასეთ თითოეული)



გამოკითხულთა აბსოლიტური უმრავლესობის (93.8%) შეფასებით, თანამშრომლობას ორივე მხარისთვის თანაბარი სარგებელი მოაქვს და მზად არიან კოლეჯთან მომავალშიც გააგრძელონ თანამშრომლობა, ხოლო 6,3%-ის მოსაზრებით (1 რესპონდენტი) თანამშრომლობას უფრო მეტი სარგებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოაქვს.

კვლევაში ჩართულ დაწესებულებათა 75%-ს, ბოლო სამი წლის განმავლობაში დაუსაქმებია ის პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც მათთან გაიარეს პრაქტიკა. იმ მიზეზებს შორის, რის გამოც პარტნიორ ორგანიზაციას არ დაუსაქმებია პროფესიული სტუდენტი/კურსდამთავრებული, სახელდება პროფესიულ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია და სამუშაო ადგილების სიმცირე.

დასაქმების მიზნით, პროფესიული განათლების მქონე კვალიფიკაციური პერსონალის მოძიების მთავარ საშუალებას, რესპოდენტების უმრავლესობის (75%) შეფასებით, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა. აღნიშნული ხაზს უსვამს კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

გრაფიკი #5 - რომელია დასაქმების მიზნით პროფესიული განათლების დონის კვალიფიციური პერსონალის მოძიების ყველაზე გავრცელებული გზა?

16 responses

როცა ვსაუბრობთ დასაქმებაზე, რა თქმა უნდა, კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია მისი პროფესიული სტუდენტი/კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი, ამიტომაც აღნიშნული საკითხის შეფასება პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან, კოლეჯისთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია. რესპოდენტთა უმრავლესობის (66,7%) აზრით, კოლეჯის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანია. აღნიშნული მაჩვენებელი, 2023 წლის მონაცემებთან შედარებით, გაზრდილია 5% -ით.

გრაფიკი #6 - როგორ ფიქრობთ, კონკურენტუნარიანია კოლეჯის კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე?



კვლევის ფარგლებში, რესპოდენტებმა ასევე შეაფასეს პროფესიული დიპლომის მქონე პირების საჭიროებები. კერძოდ, რესპოდენტთა უმავლესობის (68.8%) მოსაზრებით, პარტნიორ ორგანიზაციებს, რომლებსაც დაუსაქმებიათ პროფესიული დიპლომის მქონე პირები გარკვეული დოზით სჭირდებათ ტრენინგები, 12,5%-ის შეფასებით, მათ დამატებითი ტრენინგის საჭიროება არ აქვთ, ასევე 12,5%-ის შეფასებით, აღნიშნულ კითხვაზე უჭირთ პასუხის გაცემა, ხოლო 6,3%-ის (1 რესპოდენტი) აზრით, ტრენინგი საჭიროა დიდი დოზით.

გრაფიკი #7 - რა დოზით სჭირდებათ დამატებითი ტრენინგები პროფესიული დიპლომის მქონე პირებს, რომლებიც დაგისაქმებიათ?



კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის (53.3%) შეფასებით, პროფესიული განათლება პრესტიჟულია, 33.3%-ის აზრით ძალიან პრესტიჟულია და მხოლოდ 13.3% (2 რესპოდენტი) აღნიშნავს, რომ პროფესიული განათლება არაპრესტიჟულია.

გრაფიკი #8 - რამდენად პრესტიჟულია პროფესიული განათლება?

15 responses



ძირითადი მიგნებები

- კვლევაში ჩართულ ყველა დაწესებულებას (100%) ბოლო სამი წლის განმავლობაში დაუსაქმებია ის პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც მათთან გაიარეს პრაქტიკა.
- პარტნიორ ორგანიზაციებსა და კოლეჯს შორის ურთიერთთანამშრომლობა მჭიდროა ვინაიდან, დასაქმების მიზნით, პროფესიული განათლების მქონე კვალიფიკაციური პერსონალის მოძიების მთავარ საშუალებას რესპოდენტებთა (75%) შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ურთიერთობა წარმოადგენს.
- პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარების შეფასებისას, პროფესიულ სტუდენტთა 10 უნარ-ჩვევიდან, რესპოდენტთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ კარგად/ძალიან კარგად შეაფასა 6 უნარ-ჩვევა.
- გამოკითხულ რესპოდენტთა 50%-ის შეფასებით, საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები არიან ძალიან მოტივირებულები, ხოლო რესპოდენტთა მეორე ნახევრის შეფასებით (50%) საწარმოო პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები საშუალოდ მოტივირებულები არიან.
- რესპონდენტთა აბსოლიტური უმრავლესობის (86.6%) შეფასებით, პროფესიული განათლება პრესტიჟული/ძალიან პრესტიჟულია.
- რესპონდენტთა მიერ კოლეჯის სხვადასხვა მიმართულებით შეფასებისას, არც ერთ რესპონდენტს, არც ერთი ასპექტი არ შეუფასებია უარყოფითად, ხოლო ყველაზე დადებითად შეფასდა კოლეჯის ადმინისტრაციის მოქნილობა თანამშრომლობის პროცესში.

რეკომენდაციები

ვინაიდან, ბოლო 2 წლის კვლევის ფარგლებში რესპონდენტები პროფესიულ სტუდენტთა უცხო ენის ცოდნას აფასებენ ცუდად, მიზანშეწონილია კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს აქცენტი უცხო ენის სწავლების მნიშვნელობაზე. სასურველია, სასწავლო პროცესში დაიგეგმოს მრავალფეროვანი აქტივობები. ასევე, აქცენტი გაკეთდეს უცხო ენის ცოდნის მნიშვნელობასა და მის აქტუალობაზე.